საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გენადი მაკარიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 09.07.2021წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის #1/138 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესაჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გენადი მაკარიძის

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაცია, მასთან ჩატარებული საჯარო გასაუბრება, ასევე, თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო თუ სამართლებრივი დოკუმენტები. კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის თანახმად, ეფუძნება ამავე კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ მახასიათებლებს, კერძოდ, *პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს; დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას; პიროვნულ და პროფესიულ ქცევას; პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციას; ფინანსურ ვალდებულებას.*
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი როგორც მოქალაქისა და მოსამართლის პატიოსნება და კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა და ა.შ.. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ გენადი მაკარიძეს სათანადოდ აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა, ის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს. კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად, კერძოდ, მას არ უფიქსრიდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. 2017-2020 წლების განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული რაიმე სამართალდარღვევის ჩადენისათვის კანდიდატს ადმინისტრაციული სახდელი არ დაჰკისრებია. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გენადი მაკარიძე რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. <u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის</u> მახასიათებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ როგორც დამოუკიდებელს, მიუკერძოებელსა და პრინციპულს. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გენადი მაკარიძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა

		ჯგუფის მიმართ. ამდენად, გენადი მაკარიძე შესაძლებელია შეფასდეს პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებლად. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის</u>** მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ის გამოირჩევა თავშეკავებულობით კოლეგებთან თუ სხვა პირებთან, მათ შორის, მხარეებთან ურთიერთობისას, რასაც ადასტურებენ გამოკითხული კოლეგები. კანდიდატს ახასიათებს მოსამართლის მაღალი წოდებისათვის შესაფერისი იმიჯი და ქცევა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გენადი მაკარიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა, რც მეტყველებს მის მიერ სამოსამართლო ეთიკის ნორმების სათანადოდ დაცვაზე. რაც შეეხება კანდიდატის მონაწილეობას სამართლებრივ დავებში, მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ის მხარედ ანდა დაზარალებულად არ წარმოდგენილა. კანდიდატის **<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციასთან</u>** დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები გენადი მაკარიძეს აფასებენ დადებითად. ისინი მიიჩნევენ, რომ კანდიდატი სრულად აკმყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. რესპოდენტები გამოარჩევენ მის სამართლიანობას, მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, დამოუკიდებლობას, სიდინჯეს, თავმდაბლობას და ა.შ.. ამასთან, რეკომენდატორები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს იმგვარი სისუსტე ან ნაკლოვანება, რომელიც ხელს შეუშლიდა მას სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაში. **<u>ფინანსური ვალდებულების</u>** მახასიათებელთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გენადი მაკარიძე კეთილსინდისიერად და

			ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. მას არ ერიცხება რაიმე სახის დავალიანება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. მას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და არ უფიქსირდება რაიმე სახის ფინანსური ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების ფაქტი. ამდენად, არ იკვეთება ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გენადი მაკარიძე <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	<u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე.</u> აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატის მიერ გამოვლენილი სამართლებრივი ნორმების ცოდნის დონე და პუბლიკაციებში გამოყენებული სამართლებრივი დასაბუთება. მოძიებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის შეფასების შედეგად უნდა ითქვას, რომ გენადი მაკარიძე დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს სამოქალაქო და

			ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატის მიერ გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, ნათელი გახდა, რომ ის პერიოდულად ეცნობა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. გენადი მაკარიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული მიმართულებით, ასევე, ის იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ავითარებს მკაფიო და დასაბუთებულ სამართლებრივ მსჯელობას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ ნაშრომში გამოყენებული სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე, ასევე გამოვლენილი ანალიტიკური აზროვნების უნარი, პროფესიული გამოცდილება და ა.შ..</u> გენადი მაკარიძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით 9-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. ამჟამად კანდიდატი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. კანდიდატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის მარტივად აღქმადი და სათანადოდ დასაბუთებული, რაც მათ ანიჭებს დამაჯერებლობას.
წერის უნარი	20	20	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.</u>

			წერილობით თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად, მარტივი და გასაგები ენით. მისი მსჯელობა არის ლოგიკური, გადაწყვეტილებაში ფაქტობრივი გარეოებები გადმოცემულია თანმიმდევრულად. ამასთან, დაცულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სტრუქტურა.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.</u> საჯარო მოსმენის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი მეტყველების უნარი. თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად, თანმიმდევრულად და გასაგებად. მან გამოავლინა სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	<u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.</u> კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე, რასაც ადასტურებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. მას გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. თავისი საქმის შესრულებისას არის

			პროდუქტიული, სწრაფი და ეფექტიანი, რასაც ადასტურებს მის მიერ საპროცესო ვადების დაცვის სტატისტიკური მონაცემები.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.</u> მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ პროფესიულ სასწავლო შეხვედრასა და სემინარში. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კი გამოვლინდა, რომ ის პერიოდულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრატიკას. ყოველივე აღნიშნული, კი მეტყველებს მის თვითგანვითარების უნარსა და სიახლეების მიმართ ღიაობაზე, ასევე ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესზე.
პროფესიული აქტივობა	3	5	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.</u> მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატს რეკომენდატორები ახასიათებენ როგორც ინიციატივიანს, ამასთან ის ესწრება პროფესიულ შეხვედრებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად კანდიდატი არ ეწევა

			სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ასევე მას არ აქვს მომზადებული სამეცნიერო თუ სხვა სახის პუბლიკაციები.
ქულათა ჯამი	93	100	
დასაბუთება	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა კონკურსში მონაწილე კანდიდატის, გენადი მაკარიძის, შეფასება განხორციელდა „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 34^2 მუხლის შესაბამისად მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში მის მიერ გამოვლენილი კომპეტენციის, პიროვნული თუ პროფესიული თვისებებისა და უნარ-ჩვევების შეჯამების შედეგად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლით დადგენილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნიე, რომ <u>გენადი მაკარიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</u>. ხოლო, ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მინიჭებულ ქულათა შეჯამებით, გენადი მაკარიძის ქულათა ჯამმა შეადგინა 93 ქულა.		

სახელი და გვარი: ლევან მიქაბერიძე

ხელმოწერა:

თარიღი: 09.07.2021წ.